

„სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ მომზადებულ მოხსენებაში წარმოდგენილი შენიშვნებისა და რეკომენდაციების საბიუჯეტო პროცესში გათვალისწინების შესაძლებლობის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში

რეკომენდაცია	განხორციელების ვადები	პასუხისმგებელი უწყება	ინდიკატორი	შესრულების მდგომარეობა
<p>საქართველოს მთავრობას</p> <p>სახელმწიფო ბიუჯეტიდან შრომის ანაზღაურების სახით გაწეული დანახარჯების აღრიცხვა-ანგარიშების პროცესის გამჭვირვალობისა და „შრომის ანაზღაურების“ მუხლში სრულყოფილი ინფორმაციის წარმოდგენის უზრუნველსაყოფად, მოხდეს დასაქმებულ მომუშავეებზე გაწეული შრომის ანაზღაურების ყველა ხარჯის ერთგვაროვანი მიდგომით აღრიცხვა;</p>	<p>მიმდინარე</p>	<p>საქართველოს ფინანსთა სამინისტრო</p>	<p>ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშგებაში „სუბსიდიის“ და „სხვა ხარჯების“ მუხლიდან შრომის ანაზღაურებაზე გაწეული ხარჯი</p>	<p>სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელების, მათ შორის დასაქმებულთა შრომის ანაზღაურების აღრიცხვა ხორციელდება საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დამტკიცებული საბიუჯეტო კლასიფიკაციის თანახმად, რომელიც მათ შორის ითვალისწინებს ზოგიერთ შემთხვევაში შრომის ანაზღაურების ხარჯების „სუბსიდიის“ მუხლიდან დაფინანსების შესაძლებლობას. გასათვალისწინებელია, რომ ბოლო წლების მანძილზე აქტიურად მიმდინარეობს სუბსიდიის მუხლიდან მიმდინარე ხარჯების დაფინანსების შემთხვევების შემცირება, როგორც ცენტრალურ ისე ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე და აღნიშნული აღრიცხვიანობის მოწესრიგება პირდაპირ კავშირშია საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის ფარგლებში სსიპებისა და მუნიციპალიტეტების ხაზინის მომსახურებაზე გადმოყვანასა და ელექტრონული სისტემების (E-Budget და E-Treasury) განვითარებასთან. ამასთან აღსანიშნავია, რომ ბოლო წლების მანძილზე სუბსიდიის მუხლიდან შრომის ანაზღაურების მუხლში სახსრების გადატანა ზოგიერთ შემთხვევაში (მაგ: 2015 წელს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებული სსიპ-ების ხელფასები გადატანილი იქნა სუბსიდიის მუხლიდან შრომის ანაზღაურების მუხლში დაახლოებით 48 მლნ ლარამდე) აღქმული იქნა, როგორც შრომის ანაზღაურების და საჯარო სექტორში ადმინისტრაციული ხარჯების ზრდა.</p> <p>რაც შეეხება სხვა ხარჯების მუხლიდან დაფინანსების რამდენიმე შემთხვევას აღნიშნული რეკომენდაცია უკვე გათვალისწინებულია, 2016 წლის ბიუჯეტის განწერაში განხორციელდა ცვლილება და რესურსები გადატანილი იქნა სუბსიდიის მუხლში, ხოლო 2017 წლიდან დაგეგმვა ხორციელდება შესაბამისად.</p>
<p>დამატებით განისაზღვროს ის კრიტერიუმები, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს საჯარო</p>	<p>2016-2018</p>	<p>საჯარო სამსახურის ბიურო</p>	<p>„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი;</p>	<p>აღნიშნული რეკომენდაციებით გათვალისწინებული საკითხები მოცულია საჯარო სამსახურის რეფორმის კონცეფციით და „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით, რომელიც გასულ წელს მიიღო</p>

რეკომენდაცია	განხორციელების ვადები	პასუხისმგებელი უწყება	ინდიკატორი	შესრულების მდგომარეობა
<p>დაწესებულებაში დასაქმებულ პირზე პრემიის გაცემის დასაბუთება, რაც ერთი მხრივ, ხელს შეუწყობს თანამშრომელთა პრემირების ჯანსაღი სისტემის ჩამოყალიბებას, ხოლო მეორე მხრივ, უზრუნველყოფს საბიუჯეტო რესურსების ხარჯვის გამჭვირვალობის ზრდას;</p>		<p>საქართველოს ფინანსთა სამინისტრო</p> <p>საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია</p>	<p>„საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი</p>	<p>საქართველოს პარლამენტმა. კანონი განსაზღვრავს საჯარო სამსახურის ახალ სისტემას და ითვალისწინებს დავალებას შეიქმნას სპეციალური კანონი, რომელიც დაარეგულირებს საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების საკითხებს. მიმდინარეობს მუშაობა შრომის ანაზღაურების სქემაზე, რომელიც შესაბამისობაში იქნება საჯარო სამსახურის ახალი კანონით განსაზღვრულ საჯარო სამსახურის სისტემასთან.</p>
<p>დამატებითი ყურადღება გამახვილდეს თანამშრომელთა მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასების სისტემების დანერგვის მიმართულებით მხარჯავი დაწესებულებების დონეზე, რაც უზრუნველყოფდა პრემიისა და დანამატის სახით გაცემული სახსრების გამჭვირვალობასა და დასაბუთებას;</p>				
<p>საჯარო სექტორში შტატგარეშე მომუშავეთა დაქირავების პროცესის მარეგულირებელი ნორმების დახვეწა და დეტალიზაცია მათი არსებულ რეალობასთან და საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკასთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად;</p>				
<p>მიზანშეწონილია, ერთი მხრივ, შტატგარეშე მომუშავეთა რაოდენობასთან დაკავშირებით კანონმდებლობით დაწესებული ლიმიტებიდან გამონაკლისების დაშვება ხდებოდეს ყოველწლიურად,</p>				<p>„2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლით გათვალისწინებული შეზღუდვებიდან გამონაკლისი (შტატგარეშე მომუშავეთა რაოდენობა, საშუალო შრომის ანაზღაურება, საპრემიო ფონდის წლიური მოცულობა და სხვა) 2017 წლის 1 მარტამდე ყველა საბიუჯეტო ორგანიზაციამ ხელახლა შეათანხმა საქართველოს მთავრობასთან.</p>

რეკომენდაცია	განხორციელების ვადები	პასუხისმგებელი უწყება	ინდიკატორი	შესრულების მდგომარეობა
<p>საბიუჯეტო ორგანიზაციების საჭიროებიდან გამომდინარე, შესაბამისი არგუმენტირებული დასაბუთების საფუძველზე, ხოლო მეორე მხრივ, სახელმწიფო ბიუჯეტის კანონი მოიცავდეს ინფორმაციას შტატგარეშე მომუშავეთა შრომის ანაზღაურების გეგმური მაჩვენებლის შესახებ, რაც უზრუნველყოფს ამ მიმართულებით ათვისებული საბიუჯეტო რესურსების შესადარისობას გეგმიურ მაჩვენებელთან და შესაბამისად, ხელს შეუწყობს საჯარო ფინანსების მართვისა და ანგარიშგების პროცესის გამჭვირვალობის გაუმჯობესებას;</p>				
<p>ავტოპარკის ოპტიმიზაციის პროცესის შეუფერხებლად წარმართვის მიზნით, მიზანშეწონილია საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 ოქტომბრის №266 დადგენილებით შექმნილი „სამსახურებრივი ავტომანქანებით სარგებლობის, შესყიდვისა და განახლების საკითხების შემსწავლელი სახელმწიფო კომისიის“ მიერ განისაზღვროს გონივრული ვადები მხარჯავი უწყებების მიერ წარმოდგენილი ოპტიმიზაციის გეგმების განხილვისა და დამტკიცებისათვის, რათა უზრუნველყოფილ იქნეს</p>	<p>2016-2020</p>	<p>სამსახურებრივი ავტომანქანებით სარგებლობის, შესყიდვისა და განახლების საკითხების შემსწავლელი სახელმწიფო კომისია</p> <p>საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია</p>	<p>საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 თებერვლის N121 დადგენილება</p>	<p>მიმდინარეობს მუშაობა „სახელმწიფო ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის ან ჩანაცვლების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 თებერვლის N121 დადგენილებით განსაზღვრული ლიმიტების ეტაპობრივ ოპტიმიზაციაზე.</p>

რეკომენდაცია	განხორციელების ვადები	პასუხისმგებელი უწყება	ინდიკატორი	შესრულების მდგომარეობა
<p>სახელმწიფო ავტოპარკის გადანაწილებისა და სამსახურებრივი ავტომანქანების შეძენისა და ჩანაცვლების და მათ მოვლა-შენახვის ხარჯებთან დაკავშირებული საკითხების დარეგულირების მიზნით საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 თებერვლის N121 დადგენილების მე-5 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ლიმიტების ამოქმედება;</p>				
<p>საბიუჯეტო ორგანიზაციებისათვის უსასყიდლოდ მუდმივ ან დროებით სარგებლობაში (თხოვებით) ავტოსატრანსპორტო საშუალებების გადმოცემის ქმითხვევაში, მთავრობის N121 დადგენილებით განსაზღვრული კრიტერიუმების აღნიშნული შემთხვევებზე გავრცელების უზრუნველსაყოფად და შემდგომი გაურკვევლობის თავიდან აცილების, კანონმდებლობით დადგენილი შეზღუდვების დარღვევის პრევენციისა და რეგულაციის სრულყოფის მიზნით, მიზანშეწონილია, დადგენილებით ნათლად და სრულად იქნეს განსაზღვრული ნორმატიული აქტის მოქმედების გავრცელების არეალი;</p>		<p>სამსახურებრივი ავტომანქანებით სარგებლობის, შესყიდვისა და განახლების საკითხების შემსწავლელი სახელმწიფო კომისია</p> <p>საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია</p>		<p>მიმდინარეობს მუშაობა „სახელმწიფო ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის ან ჩანაცვლების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 თებერვლის N121 დადგენილებით განსაზღვრული ლიმიტების ეტაპობრივ ოპტიმიზაციაზე.</p>
<p>მიზანშეწონილია, ერთი მხრივ, ფორმალურად</p>	<p>2016-2020</p>	<p>საქართველოს ფინანსთა</p>	<p>საინვესტიციო პროექტების მართვის მეთოდოლოგიის</p>	<p>საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში</p>

რეკომენდაცია	განხორციელების ვადები	პასუხისმგებელი უწყება	ინდიკატორი	შესრულების მდგომარეობა
<p>განსაზღვროს, როგორც სოფლების მიერ მუნიციპალიტეტებისათვის წარსადგენი საპროექტო წინადადების, ასევე წარმოდგენილი პროექტების მუნიციპალიტეტების მიერ შერჩევის, დოკუმენტაციის მომზადებისა და დამტკიცების ვადები, ხოლო მეორე მხრივ, უზრუნველყოფილ იქნეს პროექტების დროული დაგეგმვა და განხორციელება;</p>		<p>სამინისტრო</p> <p>საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო</p>	<p>შესაბამისად განხორციელებული პროექტები</p> <p>საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის N23 დადგენილებით დამტკიცებული მეთოდოლოგია</p>	<p>განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურები და კრიტერიუმები დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის N23 დადგენილების შესაბამისად, რომელიც ითვალისწინებს ადგილობრივი თვითმმართველობების მხრიდან პროექტების შერჩევაში აქტიურ ჩართულობას.</p> <p>ამასთან, 2016 წელს მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით შემუშავდა საინვესტიციო პროექტებთან მიმართებაში საინვესტიციო პროექტების მართვის გზამკვლევი (საქართველოს მთავრობის 2016 წლის 22 აპრილის N191 დადგენილება) და დეტალური მეთოდოლოგია (საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2016 წლის 22 ივლისის N165 ბრძანება). აღნიშნული მიზნად ისახავს საინვესტიციო პროექტების მართვის ერთიანი ციკლის შემუშავებას, განსაზღვრულია საინვესტიციო პროექტების შემუშავების წესები და პროცედურები, მონაწილე უწყებების როლები და პასუხისმგებლობები სახელმწიფო ინვესტიციების მართვის პროცესის ყველა სტადიისათვის საინვესტიციო პროექტების განხორციელების დაწყებამდე. აღნიშნული მეთოდოლოგიის დანერგვა ეტაპობრივად იგეგმება ყველა ინფრასტრუქტურულ პროექტთან მიმართებაში.</p> <p>საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ მუშაობა მიმდინარეობს მუნიციპალიტეტებთან საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის N23 დადგენილებით განსაზღვრული რეგულაციების შემდგომი დახვეწის მიმართულებით.</p>
<p>საჯარო ფინანსების მართვის სტრატეგიისა და IPSAS სტრატეგიის ხელშეწყობის მიზნით, საქართველოს მთავრობამ შეიმუშაოს ბუღალტრული აღრიცხვის ინფორმაციული სისტემებისათვის მინიმალური სტანდარტი, რომელიც უზრუნველყოფს</p>	<p>მიმდინარე</p>	<p>საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური</p> <p>საქართველოს ფინანსთა სამინისტროს</p>	<p>ხაზინის მთავარი წიგნი</p>	<p>სახელმწიფო ფინანსების მართვის ინტეგრირებული საინფორმაციო სისტემის (PFMS) რეფორმის ფარგლებში, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურში მიმდინარეობს დარიცხვის მეთოდზე დაფუძნებული ერთიანი სააღრიცხვო სისტემის - „ხაზინის მთავარი წიგნის“ შემუშავება, რომელიც უზრუნველყოფს საჯარო ფინანსების აღრიცხვის ყველა ჩანაწერის ერთიან სისტემაში ინტეგრირებას;</p> <p>ამასთან, აღნიშნული სისტემის ერთიანი პროგრამული უზრუნველყოფის მეშვეობით შესაძლებელი გახდება</p>

რეკომენდაცია	განხორციელების ვადები	პასუხისმგებელი უწყება	ინდიკატორი	შესრულების მდგომარეობა
<p>სისტემის კონტროლის გარემოს გაუმჯობესებას და საბიუჯეტო ორგანიზაციებში დანერგილი სისტემების ანგარიშგების (რეპორტების) თავსებადობას. განხილული იქნეს სსიპ მონაცემთა გაცვლის სააგენტოს მონაწილეობის შესაძლებლობა აღნიშნული სტანდარტის შემუშავებაში;</p>		<p>სსიპ - საფინანსო ანალიტიკური სამსახური</p>		<p>საბიუჯეტო ორგანიზაციებში დანერგილი ბუღალტრული აღრიცხვის საინფორმაციო სისტემების ჩანაცვლება და/ან ამ სისტემებიდან მიღებული ინფორმაციის ინტეგრირება ხაზინის მთავარ წიგნში, რაც, თავის მხრივ, უზრუნველყოფს საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების წარმოებას ერთიან სისტემაში დროის რეალურ რეჟიმში.</p> <p>აქედან გამომდინარე, რეკომენდაციას ნაწილობრივ ვეთანხმებით. საკითხის მოგვარების მიზნით, ბუღალტრული აღრიცხვის ერთიანი საინფორმაციო სისტემის მოდულების შემუშავება უკვე მიმდინარეობს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურისა და სსიპ - საფინანსო ანალიტიკური სამსახურის მიერ.</p>
<p>კრიტიკული ინფორმაციული სისტემის სუბიექტებმა სსიპ მონაცემთა გაცვლის სააგენტოს წარუდგინონ ამ ორგანიზაციებში დასაქმებული და გადამზადებული ინფორმაციული უსაფრთხოების მენეჯერების მიერ მომზადებული გეგმა ინფორმაციული უსაფრთხოების საკანონმდებლო მოთხოვნების შესრულებისათვის. მონაცემთა გაცვლის სააგენტომ უზრუნველყოს ამ გეგმის შესრულების მონიტორინგი და საკანონმდებლო მოთხოვნების შესრულების სტატუსების გამოქვეყნება. მიზანშეწონილია, რომ მონაცემთა გაცვლის</p>				<p>ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება საკმაოდ მაღალ კომპეტენციას, დიდ დროს და შრომას მოითხოვს. სამინისტროებში შექმნილია დეპარტამენტი, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ამ სფეროში პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება. მიმდინარეობს სამუშაოები აღნიშნულ დეპარტამენტებში შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე თანამშრომლების აყვანისთვის. თუმცა აღნიშნული დაკავშირებულია მაღლკვალიფიციური და მაღალანაზღაურებადი კადრების შერჩევასთან, რაც საჯარო სექტორში არსებული შრომის ანაზღაურებისა და სხვა ადმინისტრაციული რესურსის გათვალისწინებით უკავშირდება მთელ რიგ სირთულეებს. ამასთან, უწყებები, რომლებიც ახორციელებენ სხვადასხვა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკურ უზრუნველყოფას ახორციელებენ მთელ რიგ არაფორმალიზებულ ტექნიკურ ღონისძიებებს ამ სფეროში უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად და მიმდინარეობს მუშაობა ამ ღონისძიებების ფორმალიზებაზე.</p>

რეკომენდაცია	განხორციელების ვადები	პასუხისმგებელი უწყება	ინდიკატორი	შესრულების მდგომარეობა
<p>სააგენტოს მიენიჭოს დამატებითი უფლებამოსილება ინფორმაციული უსაფრთხოების საკანონმდებლო მოთხოვნების შესრულების უზრუნველსაყოფად, მათ შორის, საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით, კრიტიკული ინფორმაციული სისტემის სუბიექტების მიმართ სანქციის გამოყენების შესაძლებლობა. დაინერგოს კრიტიკული ინფორმაციული სისტემის სუბიექტების იდენტიფიცირების აქტიური მექანიზმები, რაც უზრუნველყოფს სახელმწიფო დაწესებულებებში არსებული ინფორმაციული სისტემების შეფასებასა და მათ კლასიფიცირებას კრიტიკული ინფორმაციული სისტემის სუბიექტებად. ასევე, მიზანშეწონილია, რომ კრიტიკული ინფორმაციული სისტემის სუბიექტების ნუსხა გადაიხედოს პერიოდულად.</p>				
<p>საქართველოს ფინანსთა სამინისტროს</p>				
<p>სახელმწიფო ბიუჯეტის ანგარიშგების პროცესის გამჭვირვალობის გაუმჯობესებისა და წლის განმავლობაში მობილიზებული საგადასახადო შემოსავლების მოცულობის შესახებ</p>		<p>საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური</p>		<p>საბიუჯეტო კოდექსის 18¹ მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად „გადასახადებიდან მიღებული შემოსავლების შესრულების აღრიცხვა და ანგარიშგება წარმოებს დაბრუნების ქვეანგარიშზე მიმართული სახსრების გარეშე.“ შესაბამისად არ ხდება დაბრუნების ქვეანგარიშზე მიმართული სახსრების და იქედან განხორციელებული გადახდების ბიუჯეტის შესრულებაში ასახვა. დაბრუნების ქვეანგარიში ძირითადად განკუთვნილია</p>

რეკომენდაცია	განხორციელების ვადები	პასუხისმგებელი უწყება	ინდიკატორი	შესრულების მდგომარეობა
<p>სრულყოფილი ინფორმაციის მისაღებად, აუცილებელია დაიხვეწოს დაბრუნების ქვეანგარიშზე მიმართული საბიუჯეტო სახსრების ანგარიშგების შესახებ არსებული საკანონმდებლო რეგულაცია, რათა უზრუნველყოფილ იქნეს სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშში ზემოაღნიშნულ ქვეანგარიშზე წლის განმავლობაში მიმართული სახსრების, აღნიშნული ქვეანგარიშიდან გაწეული ხარჯისა და განთავსებული სახსრების შესახებ სრულყოფილი ინფორმაციის წარმოდგენა;</p>				<p>ზედმეტად ან შეცდომით გადახდილი გადასახადების დაბრუნების მიზნით. საერთაშორისოდ აღიარებული ნორმებით, ზედმეტად ან შეცდომით გადახდილი თანხები არ წარმოადგენს შემოსავალს. შესაბამისად, დაბრუნების ქვეანგარიშზე მიღებული სახსრები არ არის შემოსავალი, ხოლო გადახდილი თანხები არ წარმოადგენს ხარჯს. აქედან გამომდინარე, რეკომენდაციას არ ვეთანხმებით. მიგვაჩნია, რომ მოქმედი საკანონმდებლო ნორმები სრულიად მისაღებია. ამასთან, სახელმწიფო ხაზინის ანგარიშზე ხელმისაწვდომია სრული ინფორმაცია ხაზინის სისტემის ანგარიშებზე არსებულ ნაშთებთან დაკავშირებით.</p>
<p>მიზანშეწონილია, საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ IV კვარტალში გამოცხადებული ტენდერების შედეგად წარმოქმნილი ეკონომიების გამოყენების უფლების შესახებ მთავრობის გადაწყვეტილება, მიღებულ იქნეს ფისკალური წლის დასრულებამდე გონივრულ ვადაში, რათა უწყებებმა დროულად მოახერხონ შესაბამისი ღონისძიებების დაფინანსება და აღნიშნული სახსრების ეფექტიანობისა და ეკონომიურობის პრინციპების დაცვით გამოყენება;</p>				<p>წლის ბოლოს არსებული რესურსების იმ ღონისძიებებზე მიმართვა, რომელიც წინასწარ გათვალისწინებული არ იყო დამატებით მოტივაციას ქმნის მე-4 კვარტლის ხარჯვითი ნაწილის გაზრდისათვის წინა კვარტლებთან შედარებით, შესაბამისად მიზანშეწონილად მიგვაჩნია ამ პერიოდში გამოცხადებული ტენდერებიდან წარმოქმნილი ეკონომიის სხვა მიმართულებით გამოყენების შესაძლებლობა მაქსიმალურად შეზღუდული იყოს.</p>
<p>სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული დანახარჯების ანგარიშგების პროცესის</p>	<p>2017-2020</p>	<p>საქართველოს ფინანსთა სამინისტრო</p>	<p>ბიუჯეტის შესრულების ანგარიშები</p>	<p>ვეთანხმებით აღნიშნული ინფორმაციის წლიურ ანგარიშგებაში წარმოდგენის საჭიროებას, თუმცა აღნიშნული მოითხოვს მთელ რიგ სამუშაოებს, მათ შორის,</p>

რეკომენდაცია	განხორციელების ვადები	პასუხისმგებელი უწყება	ინდიკატორი	შესრულების მდგომარეობა
<p>გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად, მიზანშეწონილია, სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიში მოიცავდეს ინფორმაციას მხარჯავი დაწესებულებების (პროგრამის/ქვეპროგრამის ფარგლებში) მიერ წლის განმავლობაში რეალურად დასაქმებულ თანამშრომელთა რაოდენობების შესახებ;</p>		<p>საჯარო სამსახურის ბიურო</p>		<p>ტექნიკური ხასიათის და მიზანშეწონილად მიგვაჩნია სათანადო სისტემა აეწყოს საჯარო სამსახურის რეფორმით გათვალისწინებული ღონისძიებების პარალელურად.</p>
<p>მიზანშეწონილია ფინანსთა სამინისტროს მიერ საჯარო სამართლის იურიდიული პირების ბიუჯეტის შესრულების შესახებ ფინანსური მონაცემების შეგროვების პროცესში დაინერგოს შესაბამისი კონტროლის მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშში წარმოდგენილი ინფორმაციის სისრულესა და სიზუსტეს. ამასთან, ანგარიშგების პროცესის გამჭვირვალობის კუთხით, აუცილებელია სწორად იქნეს კლასიფიცირებული სსიპ/ა(ა)იპ-ების მიერ სახელმწიფო ბიუჯეტიდან და კანონმდებლობით ნებადართული (საკუთარი) შემოსავლებიდან/გადასახდელებიდან მიღებული დაფინანსების ოდენობები;</p>	<p>მიმდინარე</p>	<p>საქართველოს ფინანსთა სამინისტრო</p> <p>საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური</p>	<p>ფუნქციონირებს შესაბამისი ელექტრონული მოდულები</p>	<p>საჯარო სამართლის იურიდიული პირების ბიუჯეტების შესრულების შესახებ მონაცემების შეგროვების პროცესში კონტროლის მექანიზმები პრაქტიკულად დანერგილია, 2015 წლის იანვრიდან ცენტრალური ხელისუფლების და თვითმმართველი ქალაქების საჯარო სამართლის იურიდიული პირების/არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების, ხოლო 2016 წლიდან ყველა სხვა მუნიციპალიტეტის კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ-ი/ა(ა)იპ-ი, გარდა საბავშვო ბაღებისა და საჯარო სკოლებისა საბიუჯეტო პროცესის მართვა ხორციელდება საჯარო ფინანსების მართვის ელექტრონული სისტემის მეშვეობით და ყველა ოპერაცია ხორციელდება ხაზინის ანგარიშთა სისტემის მეშვეობით.</p> <p>ამ პროცესში მუდმივად მიმდინარეობს და გაგრძელდება ტექნიკური და ადამიანური ფაქტორებით გამოწვეული ხარვეზების გათვალისწინება, მათი სრულად აღმოფხვრის მიზნით.</p> <p>საჯარო სამართლის იურიდიული პირების (სსიპ-ის) და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების (ა(ა)იპ-ის) ბიუჯეტების შესრულების ანგარიშში სრულად და ზუსტად არის ასახული სახელმწიფო ხაზინის ერთიან ანგარიშზე ჩარიცხული შემოსულობები და გაწეული გადასახდელები, რომელთა კლასიფიცირება ხდება საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 25 აგვისტოს N672 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის“ საფუძველზე, ხოლო „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციაში“ აღნიშნული საკითხი მოწესრიგდა 2015 წლის 1 იანვრიდან. 2015 წელს იყო ტექნიკური ხასიათის შეცდომებით გამოწვეული</p>

რეკომენდაცია	განხორციელების ვადები	პასუხისმგებელი უწყება	ინდიკატორი	შესრულების მდგომარეობა
<p>მიზანშეწონილია, საკანონმდებლო დონეზე დაიხვეწოს სარეზერვო ფონდების განმარტება და უფრო კონკრეტულად განისაზღვროს იმ ღონისძიებების ტიპები და შინაარსი, რომელთა დაფინანსება უნდა განხორციელდეს სარეზერვო ფონდებიდან, რათა თავიდან იქნეს აცილებული განმარტების ზოგადი ხასიათიდან გამომდინარე არსებული გაურკვევლობები;</p>				<p>არასწორი კლასიფიცირების ერთეული შემთხვევები, რომლებიც 2016 წლიდან მინიმუმამდე იქნა დაყვანილი. აქედან გამომდინარე, რეკომენდაციას ნაწილობრივ ვეთანხმებით.</p> <p>საქართველოს მთავრობის განკარგულების პროექტს, რომლის საფუძველზეც ხორციელდება სარეზერვო ფონდებიდან თანხის გამოყოფა, ყოველთვის თან ახლავს განმარტებითი ბარათი, სადაც დეტალურადაა აღწერილი თანხის გამოყოფის აუცილებლობა და მიზნობრიობა. გადაწყვეტილების მიღება კი ხორციელდება საქართველოს მთავრობის მიერ.</p> <p>წლის განმავლობაში წარმოქმნილი გამოწვევების ფონზე, ზოგ შემთხვევაში საჭირო ხდება სხვადასხვა ღონისძიებებისათვის რესურსის მოძიება.</p>
<p>აუცილებელია დამატებითი ყურადღება გამახვილდეს საბიუჯეტო კოდექსით დადგენილ ლიმიტებთან დაკავშირებით საკანონმდებლო რეგულაციების დახვეწასა და დეტალიზაციაზე, რათა უზრუნველყოფილ იქნეს ფისკალური პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების განსაზღვრის ან მათი ცვლილების შემთხვევაში საკანონმდებლო ორგანოს კონსტიტუციით განსაზღვრული უფლებამოსილების სრულყოფილად განხორციელება, რაც თავის მხრივ, ხელს შეუწყობს საბიუჯეტო პროცესის დახვეწასა და ბიუჯეტის კანონით დამტკიცებული</p>				<p>საბიუჯეტო კოდექსით და ეკონომიკური თავისუფლების აქტით დადგენილი ლიმიტები შესაბამისობაშია საერთაშორისოდ აღიარებულ სტანდარტებთან, ამასთან, საჭიროებიდან გამომდინარე, საქართველოს მთავრობა შესაბამისი აქტით ადგენს სხვადასხვა შეზღუდვებს და ამ მიმართულებით ამ ეტაპზე საკანონმდებლო დონეზე ცვლილებების განხორციელება მიზანშეწონილი არ არის.</p> <p>ამასთან საერთაშორისო სავალუტო ფონდის ტექნიკური დახმარების ფარგლებში განხორციელდება არსებული ფისკალური წესების ეფექტიანობის შეფასება და ფისკალური მართვის ჩარჩოს შემდგომი გაძლიერებისათვის საჭირო ნაბიჯების განსაზღვრა.</p> <p>ამასთან, საჯარო ფინანსების მართვის ეფექტიანობის გაძლიერების მიზნით საჭიროა შედეგზე ორიენტირებული მართვის ეფექტურ ინსტრუმენტად ჩამოყალიბება და შესრულების ანგარიშგებაში ამ მიმართულების გაძლიერება.</p>

რეკომენდაცია	განხორციელების ვადები	პასუხისმგებელი უწყება	ინდიკატორი	შესრულების მდგომარეობა
გეგმური მაჩვენებლების მასშტაბური ცვლილებების თავიდან აცილებას;				
დააზუსტოს პროექტის კაპიტალურად კლასიფიცირების კრიტერიუმები, რაც საშუალებას მისცემს საბიუჯეტო ორგანიზაციებს ზუსტად განსაზღვრონ თუ როგორი ტიპის მატერიალური/არამატერიალური აქტივის შექმნა ან შექმნა ჩაითვლება კაპიტალურ პროექტად და ასევე, განახორციელოს დანართით წარმოდგენილი ინფორმაციის სიზუსტის კონტროლი;	მიმდინარე	საქართველოს ფინანსთა სამინისტრო მხარჯავი დაწესებულებები განმახორციელებელი უწყებები		მსოფლიო ბანკთან ერთად შემუშავდა საინვესტიციო პროექტების მართვის გზამკვლევი და დეტალური მეთოდოლოგია, რომლის მიხედვითაც 2016 წელს პილოტურ რეჟიმში დაიწყო საინვესტიციო პროექტების მომზადება. მეთოდოლოგიის სრულად ამოქმედების შემდეგ, მიღებული გამოცდილების საფუძველზე, საინვესტიციო პროექტების განხორციელების სრული ციკლისათვის ჩამოყალიბდება სრულყოფილი ჩარჩო. მიმდინარეობს მუშაობა საინვესტიციო პროექტების მართვის გზამკვლევის და მეთოდოლოგიის ეტაპობრივი დანერგვის მიმართულებით. 2017 წელს დაგეგმილია ტრენინგები როგორც საინვესტიციო პროექტების განმახორციელებელი უწყებების, ისე მხარჯავი დაწესებულებების შესაბამისი პასუხისმგებელი პირებისათვის.
კაპიტალური პროექტების დანართში წარმოდგინოს ყველა კაპიტალური პროექტი ¹ , რომელთა დაფინანსება ხდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან, მიუხედავად იმისა ხვდება თუ არა იგი ცენტრალური მთავრობის საბალანსო უწყისზე, რათა უზრუნველყოფილ იქნეს ქვეყნის მასშტაბით სახელმწიფო ბიუჯეტით დაფინანსებული კაპიტალური პროექტების შესახებ ინფორმაციის სისრულე;	მიმდინარე	საქართველოს ფინანსთა სამინისტრო მხარჯავი დაწესებულებები განმახორციელებელი უწყებები		
საგარეო საკრედიტო რესურსების ხარჯზე	მიმდინარე	საქართველოს ფინანსთა	მოთხოვნილი გადავადების საჭიროების	მსესხებლის მიერ უკვე ხდება ინფორმაციის მოწოდება მათი მოსალოდნელი ფინანსური მდგომარეობის აღწერით,

¹ კერძოდ, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების დონეზე და სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოების მიერ საბიუჯეტო რესურსით განხორციელებული პროექტები

რეკომენდაცია	განხორციელების ვადები	პასუხისმგებელი უწყება	ინდიკატორი	შესრულების მდგომარეობა
<p>გაცემული სესხების დაბრუნებასთან დაკავშირებით მსესხებლის მიერ თანხების გადახდის გადავადების მოთხოვნის შემთხვევაში, უზრუნველყოფილ იქნეს მსესხებლის ფინანსური მდგომარეობის შეფასება და მასზე დაყრდნობით იქნეს მიღებული შესაბამისი გადაწყვეტილება;</p>		სამინისტრო	დამადასტურებელი მასალები და ზემდგომი უწყების არსებობის შემთხვევაში მისი შუამდგომლობა	რომელიც მიუთითებს ახალი გრაფიკით მომსახურების შესაძლებლობას და გადავადებაზე გადაწყვეტილება მიიღება შესაბამისი განხილვის შედეგად. თუმცა უნდა აღინიშნოს რომ ამჟამინდელი გადასესხებული პორტფელის მიხედვით 99% გადასესხებულია სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ საწარმოებზე (86%) და ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებზე (13%).
<p>მიზანშეწონილია, სავალუტო კურსის ცვლილების შედეგად გამოწვეული მოსალოდნელი უარყოფითი შედეგების მინიმიზაციისათვის, შემუშავებულ იქნეს შესაბამისი ქმედითი ღონისძიებები, მათ შორის, საშინაო საკრედიტო ბაზრის განვითარების მიმართულებით;</p>	მიმდინარე	საქართველოს ფინანსთა სამინისტრო	სახელმწიფო ვალის სტრუქტურა სახელმწიფო ვალის პორტფელის დივერსიფიკაცია.	ქვეყნის განვითარებისათვის თანაბრად მნიშვნელოვანია, როგორც საგარეო, ასევე საშინაო საკრედიტო რესურსებზე წვდომა. მომავალში უნდა მოხდეს სახელმწიფო ვალის კომპოზიციის ცვლილება, რომ ადგილობრივ ბაზარზე წახსნებმა სახსრებმა თანდათანობით ჩაანაცვლოს უცხო ვალუტაში სესხების აღება, რითაც შემცირდება გარე ფაქტორებზე დამოკიდებული ვალის მომსახურების რისკები. ვალის კომპოზიციის ცვლილების განსახორციელებლად განვითარებული ფასიანი ქაღალდების ბაზარი აუცილებელ პირობას წარმოადგენს. ბაზრის განვითარებას სჭირდება დრო და სწორი ეკონომიკური პოლიტიკა, რაც ითვალისწინებს ფასიანი ქაღალდების ბაზრის სტიმულირებას საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო აგრძელებს ქმედითი ნაბიჯების გადადგმას ამ მიმართულებით. მიმდინარეობს სხვადასხვა ქვეყანაში არსებული პრაქტიკის შესწავლა. გამოცდილების გაზიარების მიზნით საქართველოში იმყოფებოდა რუმინეთის ფინანსთა სამინისტროს ექსპერტთა დელეგაცია. ადგილობრივ და განსაკუთრებით უცხოელ ინვესტორთა დაინტერესების მიზნით ბოლო პერიოდში ხდება ემისიების „გამსხვილება“, რაც ასევე დადებითად იქნა შეფასებული ექსპერტების მიერ ბაზრის განვითარების მიმართულებით. შემდგომი ნაბიჯი იქნება ადგილობრივ ბაზარზე ე.წ. „ბენჩმარკ ბონდების“ გამოშვების დაანონსება. საემისიო კალენდარის დაგეგმვისას ბაზარზე არსებული სიტუაციის უკეთ გათვალისწინებისათვის დაგეგმილია ორმხრივი კომუნიკაციის გაზრდა ბაზრის მონაწილეებთან. ფასიანი ქაღალდების ემისიების ზრდასთან ერთად ნავარაუდევია

რეკომენდაცია	განხორციელების ვადები	პასუხისმგებელი უწყება	ინდიკატორი	შესრულების მდგომარეობა
				<p>ინვესტორთა ბაზის გაფართოებაც, განსაკუთრებით ყურადღება სხვადასხვა საინვესტიციო ფონდების მოზიდვას დაეთმობა. ბაზრის განვითარების მიმართულებით მნიშვნელოვანი ნაბიჯია საქართველოს მთავრობის მიერ კაპიტალის ბაზრის განვითარების სტრატეგიის მიღება.</p> <p>სახელმწიფო ვალის კომპოზიციის ცვლილების განსახორციელებლად საშინაო ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარება ასახულია „სახელმწიფო ვალის მართვის სტრატეგია 2017-2020 წლებისათვის“ დოკუმენტის პროექტში</p>
<p>მნიშვნელოვანია მოხდეს ეკონომიკის გრძელვადიანი რესურსით უზრუნველყოფის ხელშეწყობისათვის ემიტირებული ფასიანი ქაღალდებით მიღწეული შედეგების ანალიზი. კერძოდ, შეფასდეს რამდენად შეეწყო ხელი საბანკო სექტორში გრძელვადიან დაკრედიტებას და რა გავლენა ჰქონდა აღნიშნულ ინსტრუმენტს ეკონომიკურ გარემოზე;</p>	<p>მიმდინარე</p>	<p>საქართველოს ფინანსთა სამინისტრო</p>	<p>კომერციული ბანკების მიერ ეკონომიკის გრძელვადიანი რესურსით უზრუნველყოფის მექანიზმის შეფასება.</p>	<p>დასრულებულია</p> <p>საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ, საქართველოს ეროვნულ ბანკის ხელშეწყობით, მონაწილე კომერციულ ბანკებს დაუგზავნა კითხვარი, სადაც ეთხოვათ შეეფასებინათ ეკონომიკის გრძელვადიანი რესურსით უზრუნველყოფის ხელშეწყობის მექანიზმის ეფექტურობა. კომერციული ბანკებიდან მიღებული ინფორმაციის განზოგადებით გამოიკვეთა, რომ მექანიზმი ცალსახად შეფასებულია დადებითად. ბანკების აზრით, მექანიზმის ეფექტურობა მდგომარეობდა საბანკო სისტემისთვის, 1 წელზე მეტი ვადის ლარის რესურსზე დეფიციტის პირობებში, ლარში 2-5 წლის ვადით დაკრედიტების შესაძლებლობის მიცემაში.</p> <p>ბანკების მიერ გაცემული სესხების ვადიანობა ძირითადად ემთხვეოდა ამ მიზნით გამოშვებული ფასიანი ქაღალდების ვადიანობას. კონკრეტული კომერციული ბანკის საქმიანობის ძირითადი სფეროს მიხედვით, მიღებული რესურსით მოხდა ეკონომიკის შემდეგი სექტორების დაკრედიტება: ენერჯეტიკა, სოფლის მეურნეობა, მშენებლობა და უძრავი ქონება, ჯანდაცვა, ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა, ვაჭრობა და მომსახურება, ტურიზმი.</p> <p>აღსანიშნავია, რომ რიგ შემთხვევებში კომერციული ბანკი ამატებდა მის მფლობელობაში არსებულ რესურსს და გასცემდა სესხს მექანიზმის ფარგლებში მიღებულ რესურსზე მეტი მოცულობითაც. ბანკების მიერ მექანიზმის ფარგლებში მიღებული რესურსით სარგებლობის განაკვეთი (100 საბაზისო პუნქტი) შეფასდა, როგორც ბაზარზე არსებული განაკვეთების ადეკვატური. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ მიღწეულია ეკონომიკის გრძელვადიანი</p>

რეკომენდაცია	განხორციელების ვადები	პასუხისმგებელი უწყება	ინდიკატორი	შესრულების მდგომარეობა
				<p>რესურსით უზრუნველყოფის ხელშეწყობის მექანიზმის დანერგვის ძირითადი მიზანი, კერძოდ შესაძლებელი გახდა საბანკო სექტორს მოეხდინა ეკონომიკის სხვადასხვა სექტორის შედარებით გრძელვადიანი დაკრედიტება.</p> <p>2016 წელს აღნიშნული მექანიზმი არ ყოფილა გამოყენებული.</p>
<p>შეიმუშაოს ქმედითი მექანიზმი საბიუჯეტო ორგანიზაციებში ბუღალტრული აღრიცხვის კუთხით არსებული ხარვეზების აღმოფხვრისა და ამ მიმართულებით პრევენციული ზომების დანერგვის მიზნით, რაც ხელს შეუწყობს IPSAS-ის რეფორმის წარმატებით განხორციელებას; ამასთან, საბიუჯეტო ორგანიზაციებმა უზრუნველყონ ფინანსური ანგარიშგების მომზადება არსებული მარეგულირებელი ნორმების შესაბამისად;</p>	2016-2020	საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური		<p>სახაზინო სამსახური დებულების შესაბამისად ახორციელებს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი მხარჯავი დაწესებულებების ფინანსური ანგარიშგებების შემოწმებას, ანალიზს და ანგარიშგების შედგენისას დაშვებული არსებითი შეცდომების და დარღვევების აღმოჩენის შემთხვევაში, ახდენს შესაბამის რეაგირებას - აწვდის ინფორმაციას მხარჯავ დაწესებულებებს, რის საფუძველზეც მხარჯავი დაწესებულებები აზუსტებენ ფინანსურ ანგარიშგებებს. მუდმივად მიმდინარეობს კონსულტაციების გაწევა საჯარო სექტორის ბუღალტრების მოთხოვნაზე სხვადასხვა საკითხის ბუღალტრული აღრიცხვის მიდგომების შესახებ. ამასთან, სახაზინო სამსახური IPSAS რეფორმის ხელშეწყობის მიზნით, მუდმივად ამზადებს და ანახლებს IPSAS სტანდარტებში საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრების გადამზადებას და კვალიფიკაციის ამაღლების სასწავლო პროგრამებს და თანამშრომლობს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს აკადემიასთან ტრენინგების ჩატარების მიზნით. აქედან გამომდინარე, რეკომენდაციაში გამოთქმული პრობლემა ნაცნობია და ბუღალტრულ აღრიცხვაში არსებული ხარვეზების აღმოსაფხვრელად შემუშავებული იქნება შესაბამისი ღონისძიებები.</p> <p>ყოველწლიურად ხორციელდება საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრების გადამზადება სამოქმედო გეგმის შესაბამისად დანერგილ IPSAS სტანდარტებში, რაც ხელს შეუწყობს აღრიცხვისა და ანგარიშგების ხარისხის ამაღლებას და არსებული ხარვეზების აღმოფხვრას.</p>
<p>გაგრძელდეს პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის დახვეწა და საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით მომზადდეს დაგეგმვისა და</p>	მიმდინარე	<p>საქართველოს ფინანსთა სამინისტრო</p> <p>მხარჯავი დაწესებულებები</p>	წლიური ბიუჯეტის დანართი მხარჯავი დაწესებულებების პროგრამების/ქვეპროგრამების შესახებ	<p>2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროგრამული ბიუჯეტის ნაწილი მომზადდა პროგრამული ბიუჯეტის შედგენის განახლებული მეთოდოლოგიის საფუძველზე (საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2015 წლის 14 აგვისტოს N265 ბრძანება).</p> <p>მიმდინარეობს მუშაობა დონორებთან პროგრამული</p>

რეკომენდაცია	განხორციელების ვადები	პასუხისმგებელი უწყება	ინდიკატორი	შესრულების მდგომარეობა
<p>ანგარიშგების უფრო დეტალური ინსტრუქციები საშუალოვადიანი გეგმების, პროგრამის ფარგლებში მოსალოდნელი და მიღწეული შედეგების და შედეგების შეფასების ინდიკატორებისთვის. მიზანშეწონილია თვალსაჩინო მაგალითების მოყვანა სხვადასხვა სპეციფიკის მქონე პროგრამებისთვის. ცალსახად და უფრო დეტალურად განიმარტოს რის შეფასებას ისახავს მიზნად ინდიკატორის თითოეული ტიპი და მიეთითოს შესაბამისი მაგალითები, რათა თავიდან იქნეს აცილებული ტერმინების გამოყენებასთან დაკავშირებული გაურკვევლობები; პროგრამებისთვის ასიგნებების გამოყოფა მოხდეს წინასწარ განსაზღვრული შედეგების მისაღწევად და არა შემდგომში ღონისძიებების დასაგეგმად.</p>				<p>ბიუჯეტების გაუმჯობესების მიზნით, კერძოდ, ევროკავშირის ტექნიკური მისიის ფარგლებში გრძელდება მუშაობა სამინისტროებთან, რომ 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროგრამული ბიუჯეტის ნაწილი მომზადდეს არსებული მეთოდოლოგიის შესაბამისად. გაგრძელდება მუშაობა პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის შემდგომი დახვეწის კუთხით.</p>
<p>საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და საბიუჯეტო ორგანიზაციებს</p>				
<p>წლის ბოლოსათვის აუთვისებელი საბიუჯეტო სახსრების მასშტაბური ხარჯვა, მათ შორის, წლის დასასრულს შესყიდვების გეგმებში/გაფორმებულ ხელშეკრულებებში განხორციელებული</p>	<p>მიმდინარე</p>	<p>საბიუჯეტო ორგანიზაციები</p>	<p>კვარტლების ათვისების მაჩვენებელი წლიურ გეგმასთან მიმართებაში</p>	<p>2015 და 2016 წლები გამოირჩეოდა ბიუჯეტის ხარჯვის ყველაზე თანაბარი ტენდენციით და ამ მიმართულებით მთავრობა აგრძელებს მუშაობას. ამასთან აღსანიშნავია, რომ წლის ბოლოსათვის მაღალი ათვისების ტენდენცია ბუნებრივია და დამოკიდებულია ბევრი პროექტის შინაარსსა და კონტექსტზე, ასევე შემოსულობების მიღების დინამიკაზე.</p>

რეკომენდაცია	განხორციელების ვადები	პასუხისმგებელი უწყება	ინდიკატორი	შესრულების მდგომარეობა																				
<p>ცვლილებები და მათ საფუძველზე დაჩქარებული ტემპით საბიუჯეტო თანხების გახარჯვა, ქმნის რესურსების არაეფექტიანად და არამიზნობრივად გახარჯვის რისკს და ამასთანავე, უარყოფითად აისახება ეროვნული ვალუტის გაცვლით კურსზე. შესაბამისად, მიზანშეწონილია, როგორც მხარჯავი დაწესებულებების, ისე მაკოორდინირებელი უწყების მხრიდან, ეტაპობრივად შემუშავდეს მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს აღნიშნული საკითხის დარეგულირებასა და საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ ეფექტიანი და ეკონომიური ხარჯვისათვის ქმედითი სტიმულების შექმნას;</p>				<table border="1" data-bbox="1367 220 1883 339"> <thead> <tr> <th></th> <th>I კვ</th> <th>II კვ</th> <th>III კვ</th> <th>IV კვ</th> </tr> </thead> <tbody> <tr> <td>2016</td> <td>22%</td> <td>23.5%</td> <td>25.8%</td> <td>28.7%</td> </tr> <tr> <td>2015</td> <td>21.6%</td> <td>23.8%</td> <td>25.8%</td> <td>28.8%</td> </tr> <tr> <td>2014</td> <td>20.6%</td> <td>23.5%</td> <td>24.5%</td> <td>31.4%</td> </tr> </tbody> </table>		I კვ	II კვ	III კვ	IV კვ	2016	22%	23.5%	25.8%	28.7%	2015	21.6%	23.8%	25.8%	28.8%	2014	20.6%	23.5%	24.5%	31.4%
	I კვ	II კვ	III კვ	IV კვ																				
2016	22%	23.5%	25.8%	28.7%																				
2015	21.6%	23.8%	25.8%	28.8%																				
2014	20.6%	23.5%	24.5%	31.4%																				
<p>საბიუჯეტო ორგანიზაციების მხრიდან დაგეგმვის პროცესში მხედველობაში იქნეს მიღებული გასული და მიმდინარე წლების გამოცდილება, რათა თავიდან იქნეს აცილებული წლის განმავლობაში განხორციელებული მასშტაბური ხასიათის გადანაწილებებისა და აუთვისებელი პროგრამების/ქვეპროგრამების არსებობა;</p> <p>მოხდეს სარეზერვო ფონდებიდან გამოყოფილი სახსრების მიზნობრიობის სრულყოფილი დასაბუთება;</p> <p>საბიუჯეტო ორგანიზაციების</p>	<p>მიმდინარე</p>	<p>საქართველოს ფინანსთა სამინისტრო</p> <p>მხარჯავი დაწესებულებები</p>	<p>ბიუჯეტის შესრულების კვარტალური და წლიური ანგარიშები;</p> <p>მაკონტოლებელი ორგანოების შეფასება და რეკომენდაციები</p>	<p>აღნიშნული საკითხის დარეგულირებისთვის მნიშვნელოვანია პროგრამული ბიუჯეტირების დახვეწა და შედეგზე ორიენტირებულ მართვაზე გადასვლა. თავისთავად ბიუჯეტის პროგრამებს შორის ცვლილებების მეტად შეზღუდვა შედეგის მომტანი ნაკლებად იქნება, მუშაობა მიმდინარეობს, როგორც აღმასრულებელი ხელისუფლების, ისე მაკონტოლებელი ორგანოების მხრიდან, რათა სრულყოფილად დაინერგოს შედეგებზე ორიენტირებული ბიუჯეტირება.</p>																				

რეკომენდაცია	განხორციელების ვადები	პასუხისმგებელი უწყება	ინდიკატორი	შესრულების მდგომარეობა
<p>მხრიდან მოხდეს წლის განმავლობაში მათ მიერ განსახორციელებელი ღონისძიებებისა და შესაბამისი ასიგნებების ოდენობების დროული განსაზღვრა, რათა თავიდან იქნეს აცილებული სარეზერვო ფონდიდან ისეთი დანახარჯების დაფინანსება, რომელთა გათვალისწინება ბიუჯეტის დაგეგმვის ეტაპზე იყო შესაძლებელი;</p>				
<p>საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით, საგარეო საკრედიტო რესურსების ხარჯზე გაცემული სესხები და სახელმწიფო წილობრივი მონაწილეობით მოქმედ საწარმოებში კაპიტალის ზრდა წარმოადგენს ფინანსური აქტივების ზრდას, ხოლო სახელმწიფო წილის/აქციების პრივატიზება - ფინანსური აქტივების კლებას. შესაბამისად, უზრუნველყოფილ უნდა იქნეს ზემოაღნიშნულ შემთხვევებში განხორციელებული ტრანზაქციების „ფინანსური აქტივების“ მუხლით დაკლასიფიცირება და თავიდან იქნეს არიდებული მათი ასახვა „ხარჯების“ ან/და „არაფინანსური აქტივების“ მუხლებში.</p>	დასრულდა	ფინანსთა სამინისტრო, MRDI, MDF	რეკომენდაციის გათვალისწინება მომდევნო წლის სახელმწიფო ბიუჯეტში	რეკომენდაცია ეხება „წყლის ინფრასტრუქტურის დაფინანსების პროექტს“ (EIB), ამ საკითხთან დაკავშირებით სახელმწიფო ვალის და საგარეო დაფინანსების დეპარტამენტის ინიციატივით ჩატარდა შეხვედრა საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსა და მუნიციპალური განვითარების ფონდთან, სახელმწიფო აუდიტის სამსახურისა და სახაზინო სამსახურის წარმომადგენლების მონაწილეობით. საკითხი დარეგულირდა, 2017 წლის ბიუჯეტში 25 04 02 პროგრამულ კოდის ფარგლებში. საკრედიტო რესურსიდან გაწეული ხარჯი გატარდება ფინანსური აქტივების ზრდის მუხლში.
საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და საგარეო საკრედიტო რესურსების				

რეკომენდაცია	განხორციელების ვადები	პასუხისმგებელი უწყება	ინდიკატორი	შესრულების მდგომარეობა
ხარჯზე დაფინანსებული საინვესტიციო პროექტების განმახორციელებლეს				
გაუმჯობესდეს კოორდინაციისა და დაგეგმვის პროცესი საინვესტიციო სესხების ფარგლებში თანხების ათვისებასა და პროექტების განხორციელებასთან დაკავშირებით, რათა თავიდან იქნეს აცილებული პროექტის განხორციელებასთან და სესხის მომსახურებასთან დაკავშირებული დამატებითი ხარჯების გაწევა.	მიმდინარე	საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, დარგობრივი სამინისტრო	წლის განმავლობაში ჩატარებული სულ მცირე 3 შეხვედრა	2016 წლის განმავლობაში გაიმართა 6 შეხვედრა, ხოლო 2017 წელს უკვე 2 შეხვედრა, სადაც დეტალურად იქნა განხილული დონორი ორგანიზაციების ფინანსური მხარდაჭერით მიმდინარე და დაგეგმილი პროექტების სტატუსი და პროექტების განხორციელების მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებები/ ქმედებები. ამასთან, რეგულარულად მიმდინარეობდა შეხვედრები პროექტების განმახორციელებელ მხარჯავ დაწესებულთან მთელი წლის მანძილზე. ასევე გასათვალისწინებელია, რომ პროექტის მიმდინარეობის დროს შესაძლებელია მოხდეს გარკვეული შეფერხება/დაყოვნება პროექტის განხორციელებასთან მიმართებაში სხვადასხვა ობიექტური მიზეზებიდან გამომდინარე.
საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს				
ყურადღება გამახვილდეს მოგების განაწილების შესახებ მიღებული გადაწყვეტილებების შესრულებისათვის ქმედითი მექანიზმების გამოყენების მიმართულებით, რათა უზრუნველყოფილ იქნეს კომისიასთან შეთანხმებების საფუძველზე განსაზღვრული თანხის სახელმწიფო ბიუჯეტში დროულად და სრულად მობილიჩება.	მიმდინარე	სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოების წმინდა მოგების განაწილებისა და გამოყენების შესახებ წინადადებების განხილვისა და გადაწყვეტილების მიმღები კომისია	კომისიის სხდომებზე მიღებული გადაწყვეტილებები	სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოების წმინდა მოგების განაწილებისა და გამოყენების შესახებ წინადადებების განხილვისა და გადაწყვეტილების მიმღები კომისიის მიერ 2015 წლის 14 დეკემბრის სხდომაზე განხილულ იქნა სსიპ-სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსა და სხვა სამინისტროების მიერ წარდგენილი წინადადებები წმინდა მოგების თაობაზე. კომისიამ მიიღო გადაწყვეტილებები რიგი საწარმოების წმინდა მოგების სახელმწიფო ბიუჯეტში მიმართვის თაობაზე, დივიდენდის სახით.
საბიუჯეტო ორგანიზაციებს				
ბიუჯეტის დაგეგმვის ეტაპზე მოხდეს საშტატო რიცხოვნობისა და შესაბამისი შრომის ანაზღაურების	2017-2020	საჯარო სამსახურის ბიურო საქართველოს	წლიური ბიუჯეტის კანონი და სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიში	„საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულია მიმდინარე/ადმინისტრაციული ხარჯების შემცირება/ოპტიმიზაცია (მათ შორის: შრომის

რეკომენდაცია	განხორციელების ვადები	პასუხისმგებელი უწყება	ინდიკატორი	შესრულების მდგომარეობა
<p>ფონდის რეალური ოდენობით განსაზღვრა, რათა თავიდან იქნეს აცილებული წლის განმავლობაში დიდი რაოდენობით თავისუფალი საშტატო ერთეულებისა და შრომის ანაზღაურების ფონდში წარმოქმნილი მნიშვნელოვანი ეკონომიების არსებობა;</p>		<p>ფინანსთა სამინისტრო</p>		<p>ანაზღაურების და საქონელი და მომსახურების მუხლებით). გარდა ამისა, „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით დადგენილი მაკროეკონომიკური პარამეტრების მაქსიმალური ზღვრების დასაცავად განისაზღვრა მთელი რიგი განსახორციელებელი ღონისძიებები და შეზღუდვები, რომელიც ითვალისწინებს მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციული ხარჯების შემცირებას. ამასთან „საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად:</p> <ul style="list-style-type: none"> ✓ ყველა სამინისტრომ და სახელმწიფო მინისტრის აპარატმა, მათდამი დაქვემდებარებული აპარატის და საქვეუწყებო დაწესებულებების საშტატო ნუსხები და თანამდებობრივი სარგოები შეუთანხმეს საქართველოს მთავრობას 2017 წლის 1 მარტამდე; ✓ კანონის 22-ე მუხლით გათვალისწინებული შეზღუდვებიდან გამონაკლისი (შტატგარეშე მომუშავეთა რაოდენობა, საშუალო შრომის ანაზღაურება, საპრემიო ფონდის წლიური მოცულობა და სხვა) 2017 წლის 1 მარტამდე ყველა საბიუჯეტო ორგანიზაციამ ხელახლა შეათანხმა საქართველოს მთავრობასთან. <p>ბიუჯეტის დაგეგმვის ეტაპზე შრომის ანაზღაურების ფონდის განსაზღვრა ხდება დამტკიცებული საშტატო რიცხოვნობებისა და თანამდებობრივი სარგოების ოდენობების შესაბამისად, გამომდინარე იქიდან, რომ უზრუნველყოფილი იყოს ვაკანსიების შევსების შემთხვევაში წლის განმავლობაში შესაბამისი სახსრების არსებობა.</p> <p>ამასთან, საჯარო სამსახურის რეფორმის ფარგლებში საჯარო მოხელეთა შრომის ანაზღაურების ახალი სისტემის დანერგვისას მოწესრიგდება რეკომენდაციაში მითითებული მთელი რიგი საკითხები.</p>
<p>დამატებითი ყურადღება გამახვილდეს სამსახურებრივი ავტომატების საწვავის ლიმიტების დამტკიცების პროცესზე და მოხდეს მათი გონივრული ოდენობით განსაზღვრა, რათა თავიდან იქნეს აცილებული საბიუჯეტო სახსრების არაეფექტიანი და არაეკონომიური ხარჯვა;</p>				
<p>შესყიდვის დაგეგმვისას განხორციელდეს ბაზრის წინასწარი კვლევა/შესწავლა შესყიდვის ობიექტის მოცულობისა და თავისებურებიდან</p>		<p>სსიპ - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო</p>		<p>სსიპ - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №2 ბრძანებით დამტკიცებული „შემსყიდველი ორგანიზაციის ანგარიშგების წესის“ მე-4 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, „ყოველი შესყიდვის განხორციელების პროცედურების დაწყებამდე (გარდა გადაუდებელი აუცილებლობით</p>

რეკომენდაცია	განხორციელების ვადები	პასუხისმგებელი უწყება	ინდიკატორი	შესრულების მდგომარეობა
<p>გამომდინარე; შესყიდვის სავარაუდო დაეფუძნოს შესწავლის მიღებულ მონაცემებსა და წარსულ გამოცდილებას;</p> <p>ობიექტის ღირებულება ბაზრის შედეგად მონაცემებსა და წარსულ გამოცდილებას;</p>				<p>გამოწვეული შესყიდვებისა) წლიური გეგმის შესაბამისად შემსყიდველი ორგანიზაცია ატარებს მოსამზადებელ სამუშაოებს. განსახორციელებელი შესყიდვის მოსამზადებელი სამუშაოები ტარდება შესყიდვის ობიექტის მახასიათებლების, სავარაუდო ღირებულების, შესყიდვის განხორციელების საშუალების და დაფინანსების მოცულობის დაზუსტების, სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებასთან დაკავშირებული დოკუმენტებისა და ხელშეკრულების პროექტის მომზადების მიზნით“.</p> <p>ხოლო, მე-4 მუხლის 61 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, შესყიდვების წლიური გეგმის პროექტის შემუშავების დროს გათვალისწინებულ უნდა იქნეს „პოტენციური მიმწოდებლების გამოვლენისა და შემსყიდველი ორგანიზაციისათვის მისაღები ხელშეკრულების პირობების განსაზღვრის მიზნით ბაზრის გამოკვლევის შედეგები“.</p> <p>ასევე, აღნიშნული მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, „შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულების დაზუსტებისას, გათვალისწინებულ უნდა იქნეს სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებასთან დაკავშირებული ყველა ხარჯი, ხელშეკრულების მოქმედების სავარაუდო ვადა (მათ შორის, ხელშეკრულების მოქმედების ვადის გაგრძელების შესაძლებლობა), ფასების არსებული დონე, მსგავსი შესყიდვების განხორციელების გამოცდილება. იმ შემთხვევაში, თუ შესასყიდი საქონლის ან მომსახურების სავარაუდო ღირებულება არ აღემატება 500 000 ლარს, ხოლო სამუშაოს სავარაუდო ღირებულება – 1 000 000 ლარს, ფასების არსებული დონის გათვალისწინება ხდება შიდა ბაზრის შესწავლის საფუძველზე, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ შესასყიდი საქონლის ან მომსახურების სავარაუდო ღირებულება არის 500 000 ლარი ან მეტი ან/და სამუშაოს სავარაუდო ღირებულება – 1 000 000 ლარი ან მეტი – ფასების არსებული დონის გათვალისწინება შესაძლებელია მოხდეს საერთაშორისო ბაზრის შესწავლის საფუძველზე“.</p> <p>ამასთან, სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელი კანონმდებლობის თანახმად, სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო აწარმოებს საჯარო შესყიდვების სფეროში არსებული მდგომარეობის სისტემურ შესწავლასა და ანალიზს. აღნიშნულ საქმიანობაზე დაყრდნობით,</p>

რეკომენდაცია	განხორციელების ვადები	პასუხისმგებელი უწყება	ინდიკატორი	შესრულების მდგომარეობა
				<p>სააგენტო ეწევა საკონსულტაციო-სარეკომენდაციო მომსახურებას შემსყიდველი ორგანიზაციებისათვის, შესყიდვების პროცესის კომპლექსური გაუმჯობესების მიზნით. შესაბამისად, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ შემსყიდველი ორგანიზაციებისათვის გამოსცა მეთოდური მითითებები წინამოსამზადებელი ეტაპისათვის, რომელიც განთავსებულია სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე http://procurement.gov.ge/getattachment/ELibrary/metod-mititebebi-da-recomendaciebi/Untitled-1.pdf.aspx</p> <p>სსიპ - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ დაიწყო მუშაობა სახელმწიფო შესყიდვის წინამოსამზადებელი ეტაპის პროცედურების ოფიციალურად განსაზღვრის მიზნით, ახალი ნორმატიული აქტის პროექტზე და შესაბამისად, სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ახალი ელექტრონული სერვისის ჩაშენებაზე (ბიზნეს-ანალიტიკის დოკუმენტზე მუშაობით). 2016 წელს სააგენტომ შეიმუშავა ახალი ვებ-გვერდი http://emarket.spa.ge/, რომლის მიზანია შემსყიდველ ორგანიზაციებს დაეხმაროს ბაზრის კვლევის ჩატარებაში, ადეკვატური ფასების მოძიებაში, პრეტენდენტ ბიზნეს-კომპანიებთან საქმიანი კომუნიკაციის დამყარებაში, საქონლის ნომენკლატურის ერთეულის ფასების ჩამოყალიბებაში.</p> <p>ამჟამად, აღნიშნულ ვებ-გვერდზე უკვე განთავსებულია ინფორმაცია 6000-მდე დასახელების საქონელზე.</p>
<p>შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ ბაზრის შესწავლის შედეგები აისახოს შესაბამის დოკუმენტში, სადაც დასაბუთებული იქნება მიღებული გადაწყვეტილება;</p>	<p>მიმდინარე</p>	<p>სსიპ - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო</p>		<p>აღნიშნული დოკუმენტის შექმნის ვალდებულებას არ აწესებს სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელი კანონმდებლობა, თუმცა რიგი შემსყიდველი ორგანიზაციები ამა თუ იმ შესყიდვის სავარაუდო ღირებულების დადგენის კუთხით განხორციელებულ ბაზრის კვლევის შედეგებს და მასთან მიღებულ გადაწყვეტილებებს ინახავენ შესყიდვის სხვა დოკუმენტებთან ერთად.</p> <p>სსიპ - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ დაიწყო მუშაობა სახელმწიფო შესყიდვის წინამოსამზადებელი ეტაპის პროცედურების ოფიციალურად განსაზღვრის მიზნით, ახალი ნორმატიული აქტის პროექტზე და შესაბამისად, სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ახალი ელექტრონული სერვისის</p>

რეკომენდაცია	განხორციელების ვადები	პასუხისმგებელი უწყება	ინდიკატორი	შესრულების მდგომარეობა
<p>საბიუჯეტო სახსრების ეფექტიანი გამოყენების უზრუნველსაყოფად, აუცილებელია, შესაბამისი საბიუჯეტო ორგანიზაცია საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს იღებდეს სრულყოფილ ინფორმაციას (პირველადი დოკუმენტების ჩათვლით) წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოს მიერ წლის განმავლობაში გაზრდილი კაპიტალის ფარგლებში შესრულებული სამუშაოების, გახარჯული ფინანსური რესურსისა და წლის ბოლოს არსებული ნაშთების შესახებ;</p>				<p>ჩაშენებაზე (ბიზნეს-ანალიტიკის დოკუმენტზე მუშაობით). წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოს კაპიტალის გაზრდის თაობაზე საქართველოს მთავრობის შესაბამის აქტებში მიეთითება საწარმოს ვალდებულება ანგარიშების (გამოყოფილი თანხის ხარჯვა და შესრულებული სამუშაოები) წარმოდგენის თაობაზე. რიგ სამინისტროებში მიმდინარეობს მუშაობა ანგარიშების წარმოდგენის პროცესის შემდგომი დახვეწის მიზნით, რათა აღნიშნული ინფორმაციის წარმოდგენა განხორციელდეს რეგულარულად.</p> <p>რაც შეეხება პირველადი დოკუმენტაციის წარმოდგენის ვალდებულებას, აღნიშნული დოკუმენტაციის დამუშავება სირთულეებთან არის დაკავშირებული, მოითხოვს დიდ დროს და შესაბამის კვალიფიკაციას. ამასთან, პირველადი დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება უშუალოდ განმახორციელებელ საწარმოს/კომპანიას და მიზანშეწონილია, სამინისტროს მიერ აღნიშნული დოკუმენტაციის მოთხოვნა მოხდეს შერჩევით, მხოლოდ განსაკუთრებული საჭიროების შემთხვევაში.</p> <p>მიმდინარეობს პირველადი დოკუმენტების საფუძველზე ხაზინის მთავარ წიგნში დარიცხვის მეთოდის შესაბამისად შემოსავლების და ხარჯების აღრიცხვის ბიზნეს პროცესების ანალიტიკა.</p>
<p>დამატებითი ყურადღება დაეთმოს დაგეგმვის ეტაპზე ქვეპროგრამების შუალედური შედეგების ფორმირებისას შესაბამისი მიზნობრივი მაჩვენებლების განსაზღვრას, რათა ანგარიშგების ეტაპზე შესაძლებელი გახდეს ქვეპროგრამის ფარგლებში მიღწეული შედეგების შეფასება;</p> <p>მოხდეს პროგრამების და შესაბამისად მოსალოდნელი შედეგების წარმოდგენა ქვეპროგრამების და შუალედური შედეგების დონეზე, რაც ხელს შეუწყობს</p>	<p>მიმდინარე</p>	<p>საქართველოს ფინანსთა სამინისტრო</p> <p>მხარჯავი დაწესებულებები</p>	<p>სახელმწიფო ბიუჯეტის დანართი - ინფორმაცია პროგრამებისა და ქვეპროგრამების შესახებ</p>	<p>2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროგრამული ბიუჯეტის ნაწილი მომზადდა პროგრამული ბიუჯეტის შედგენის განახლებული მეთოდოლოგიის საფუძველზე (საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2015 წლის 14 აგვისტოს N265 ბრძანება).</p> <p>მიმდინარეობს მუშაობა დონორებთან პროგრამული ბიუჯეტების გაუმჯობესების მიზნით, კერძოდ, ევროკავშირის ტექნიკური მისიის ფარგლებში გრძელდება მუშაობა სამინისტროებთან, რომ 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროგრამული ბიუჯეტის ნაწილი მომზადდა არსებული მეთოდოლოგიის შესაბამისად.</p> <p>გაგრძელდება მუშაობა პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის შემდგომი დახვეწის კუთხით.</p> <p>2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროგრამული ბიუჯეტის ნაწილი მომზადდა პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის შესაბამისად; მიმდინარე წელს გაგრძელდება ამ მიმართულებით მუშაობა ევროკავშირის</p>

რეკომენდაცია	განხორციელების ვადები	პასუხისმგებელი უწყება	ინდიკატორი	შესრულების მდგომარეობა
<p>ერთი მხრივ, სახელმწიფო ბიუჯეტის დაგეგმვისა და საბიუჯეტო რესურსების განკარგვის პროცესის გამჭვირვალობას, ხოლო მეორე მხრივ, დაინტერესებული მხარეებისთვის უფრო დეტალური და ნათელი ინფორმაციის მიწოდებას;</p> <p>პროგრამების/ქვეპროგრამების ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებების მიზნობრიობები და მათ მიერ დასაფინანსებელი აქტივობები ჩამოყალიბდეს ბიუჯეტის დაგეგმვის ეტაპზე და არ მოხდეს მიზნობრიობების განსაზღვრა მოგვიანებით, ფისკალური წლის განმავლობაში;</p> <p>დამატებითი ყურადღება გამახვილდეს შედეგების შეფასების ქმედითი ინდიკატორების შემუშავებაზე, რათა მათი საშუალებით შესაძლებელი იყოს პროგრამის/ქვეპროგრამის ფარგლებში მოსალოდნელი ყველა შედეგის შეფასება. ასევე, მოხდეს პროგრამების/ქვეპროგრამების შესაფასებლად სხვადასხვა ტიპის ინდიკატორების გამოყენება;</p> <p>„პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის“ შესაბამისად მოხდეს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული</p>				საჯარო ფინანსების მართვის პროექტის ტექნიკური დანმარების ფარგლებში

რეკომენდაცია	განხორციელების ვადები	პასუხისმგებელი უწყება	ინდიკატორი	შესრულების მდგომარეობა
<p>პროგრამების შესრულების შესახებ ინფორმაციაში დაგეგმილ და მიღწეულ შედეგებს შორის არსებული განსხვავებების შესახებ განმარტებების წარმოდგენა;</p> <p>მხარჯავი დაწესებულებების მიერ შემუშავებულ იქნეს მეთოდოლოგია, რომელიც დაარეგულირებს შესრულების შესახებ მონაცემების შეგროვებისა და დამუშავების პროცესს. აღნიშნული უზრუნველყოფს მიღწეული შედეგების შესახებ ინფორმაციის სისრულესა და სიზუსტეს და გაზრდის წარმოდგენილი ინფორმაციის სანდოობის ხარისხს.</p>				
<p>სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს“</p>				
<p>სახელმწიფო მფლობელობაში არსებული საწარმოების ეფექტიანი მართვისა და მათ შესახებ ინფორმაციის გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად, სააგენტომ განახორციელოს ქვეყანაში არსებული ყველა სახელმწიფო საწარმოს (ფუნქციონირებადი თუ არაფუნქციონირებადი) აღრიცხვა და სრულყოფილი ბაზის შექმნა;</p>	<p>მიმდინარე</p>	<p>სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო</p> <p>საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო</p>		<p>სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს აღრიცხული აქვს როგორც, მართვაში არსებული საწარმოები და მათი საიდენტიფიკაციო მონაცემები (საფირმო სახელწოდება, იურიდიული მისამართი, სხვა მისამართი, ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირი, დირექტორის საკონტაქტო ინფორმაცია), ისე საერთო სიიდან ამოშლილი საწარმოების შესახებ ინფორმაცია (მინიმიზაციის დაწყების და დასრულების თარიღი, მინიმიზაციის ფორმა). სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს სახელმწიფო საწარმოთა მართვის სამსახური აწარმოებს ასევე, გაკოტრების/ გადახდისუუნარობის და რეორგანიზაციის (შერწყმის) მონაცემთა ბაზას.</p>
<p>განახორციელოს ანგარიშგების სისტემის უნიფიცირება და ანგარიშის ნიმუშის შემუშავება, რომლის მიხედვითაც ყველა სახელმწიფო საწარმო</p>	<p>მიმდინარე</p>	<p>სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო</p> <p>საქართველოს ეკონომიკისა და</p>		<p>სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს ფინანსური ანგარიშგების ფორმების უნიფიცირება უკვე განხორციელებულია. ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად შემუშავებულია მონაცემთა შეგროვების ფორმა, რომელიც დამტკიცებულია სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული</p>

რეკომენდაცია	განხორციელების ვადები	პასუხისმგებელი უწყება	ინდიკატორი	შესრულების მდგომარეობა
<p>განსაზღვრული პერიოდულობით წარუდგენს საქმიანობის ანგარიშსა და ფინანსურ მაჩვენებლებს მმართველ ორგანოს (სააგენტოს, სამინისტროებს).</p>		<p>მდგრადი განვითარების სამინისტრო</p>		<p>სააგენტოს 2013 წლის 30 დეკემბრის N1/1-1339 ბრძანებით, შესაბამისად, 2014 წლიდან სააგენტოში საწარმოების მიერ ფინანსური ანგარიშგებების წარმოდგენა ხორციელდება მხოლოდ ზემოხსენებული ფორმების მეშვეობით.</p>
<p>საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, სსიპ „მუნიციპალური განვითარების ფონდს“, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს</p>				
<p>განხორციელდეს შიდა საბიუჯეტო რესურსიდან გაცემული სესხების მიმდინარე პორტფელის მდგომარეობის შეფასება და ანალიზის შედეგად მიღებულ იქნეს ქმედითი ღონისძიებები ვადაგადაცილებული სესხების მოცულობისა და შესაბამისად, მსესხებელთა ბიუჯეტის წინაშე არსებული დავალიანების შემცირების მიზნით;</p>		<p>საქართველოს ფინანსთა სამინისტრო</p>		<p>სახაზინო სამსახური რეგულარულად ახორციელებს მონიტორინგს შიდა საბიუჯეტო რესურსებიდან სესხის მიმღები სუბიექტების მიერ სასესხო ვალდებულებების შესრულებას და დამრღვევთა მიმართ ახორციელებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ღონისძიებებს.</p> <p>აქედან გამომდინარე, რეკომენდაციას არ ვიზიარებთ. მიგვაჩნია, რომ სახაზინო სამსახური კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებს ღონისძიებებს ვადაგადაცილებული სესხების დავალიანების შესამცირებლად.</p> <p>შეფასებები და ანალიზი ხორციელდება სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ და ქმედითი ნაბიჯების გადადგმის შემდგომ მუნიციპალიტეტების მხრიდან სრულდება ვალდებულებების დაფარვა, ასევე, "სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაცემული სესხების რეესტრის წარმოების წესისა და რეესტრის ფორმის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ფინანსთა მინისტრის 18.06.2015 წლის N180 ბრძანებისა და სახაზინო სამსახურის 24.07.2015 წლის N18/77688 წერილის შესაბამისად, სახელმწიფო პროგრამა "იაფი კრედიტის" ფარგლებში სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ გაცემული სესხების რეესტრი ფინანსთა სამინისტროში იგზავნება ყოველთვიურად, როგორც მატერიალიზებული ასევე</p>

რეკომენდაცია	განხორციელების ვადები	პასუხისმგებელი უწყება	ინდიკატორი	შესრულების მდგომარეობა
				ელექტრონული ფორმით;
საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს				
მოახდინოს მთავრობის N23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის ინიცირება, რომლის მიხედვითაც მუნიციპალიტეტებს განესაზღვრებათ პროექტების დასრულების შემდგომ ანგარიშის მომზადების ვალდებულება. ასევე, უზრუნველყოს აღნიშნული ანგარიშის ფორმის შემუშავება;	2016-2017	საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო	საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის N23 დადგენილება	მომზადდება საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის 23-ე დადგენილებაში შესატანი ცვლილების პროექტი, რომლის მიხედვითაც მუნიციპალიტეტებს განესაზღვრებათ პროექტების დასრულების შემდგომ ანგარიშის მომზადების ვალდებულება;
უზრუნველყოს სამუშაოების მიმდინარეობის ეტაპზე პროექტების დათვალიერების შედეგად მიღებული ინფორმაციის დადოკუმენტირება;	2016-2017	საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო	საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის N23 დადგენილება	მომზადდება საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის 23-ე დადგენილებაში შესატანი ცვლილების პროექტი, რომლის მიხედვითაც უზრუნველყოფილი იქნება სამუშაოების მიმდინარეობის ეტაპზე პროექტების დათვალიერების შედეგად მიღებული ინფორმაციის დადოკუმენტირება;
სსიპ „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს“				
შეიმუშაოს გადაუდებელი აუცილებლობის მდგომარეობის დასაბუთების გამჭვირვალე და მოქნილი პროცედურა; შემუშავდეს ჩარჩო დოკუმენტი, რომლის მიხედვითაც შემსყიდველი ორგანიზაციები დაასაბუთებენ შესყიდვის გადაუდებლად განხორციელების აუცილებლობას;		სსიპ -სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო		მომზადდება საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის 23-ე დადგენილებაში შესატანი ცვლილების პროექტი, რომლის მიხედვითაც უზრუნველყოფილი იქნება სამუშაოების მიმდინარეობის ეტაპზე პროექტების დათვალიერების შედეგად მიღებული ინფორმაციის დადოკუმენტირება; სააგენტომ ევროკავშირთან ვიზა ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის ანტიკორუფციული კომპონენტით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების მიზნით, საქართველოს პარლამენტის მიერ 2015 წლის 24 ივლისს მიღებულ იქნა საქართველოს მთავრობის საკანონმდებლო ინიციატივით წარდგენილი კანონპროექტი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე. ეს კანონი, რომელიც ამოქმედდა 2015 წლის 01 ნოემბრიდან, ადგენს ცალკეული საფუძვლებით (გადაუდებელი
გაამლიეროს მონიტორინგისა და კონტროლის მექანიზმები შეწყვეტილ და არშემდგარ ტენდერებთან მიმართებაში.		სსიპ -სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო		

რეკომენდაცია	განხორციელების ვადები	პასუხისმგებელი უწყება	ინდიკატორი	შესრულების მდგომარეობა
				<p>აუცილებლობა, ექსკლუზიური უფლებამოსილება, ხარისხის გაუარესების თავიდან აცილება, სახელმწიფო და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარება), გამარტივებული შესყიდვების განხორციელების სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსთან სავალდებულო შეთანხმების მარეგულირებელ ნორმებს.</p> <p>საგულისხმოა, რომ გამარტივებული შესყიდვების კანონით დადგენილი ზემოაღნიშნული ლეგალური საფუძვლებით სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების პროცესში მეტი გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად, სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში eProcurement სპეციალურად ამ მიზნით შეიქმნა ახალი ელექტრონული პლატფორმა (SMP მოდული). მოდული საჯაროა და ყველა დაინტერესებულ პირს აძლევს საკუთარი პოზიციის დაფიქსირების შესაძლებლობას. ხაზგასასმელია, რომ სააგენტო გადაწყვეტილების მიღებისას შემსყიდველი ორგანიზაციის მიმართვასთან ერთად განიხილავს დაინტერესებული პირების მიერ მასთან დაკავშირებით გამოხატულ მოსაზრებებს. ამასთან, ასევე ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია სასამართლოში გაასაჩივროს სააგენტოს გადაწყვეტილება.</p> <p>კანონით დადგენილ მოთხოვნათა შესასრულებლად, 2015 წლის 17 აგვისტოს გამოიცა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის №13 ბრძანება „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე“. აღნიშნული ბრძანებით დეტალურად განისაზღვრა გამარტივებული შესყიდვების კონკრეტული საფუძვლებით შესყიდვების განხორციელების მარეგულამენტირებელი ნორმები, შემუშავებული იქნა შემსყიდველი ორგანიზაციებისათვის განკუთვნილი სპეციალური კითხვარი, რომლის საშუალებით სახელმწიფო უწყებების უფლებამოსილ თანამდებობის პირთა მხრიდან პრაქტიკულად გამოირიცხა სუბიექტური მიდგომები გამარტივებული შესყიდვის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებისას.</p> <p>2015 წლის 01 ნოემბრიდან (სააგენტოსათვის სათანადო უფლებამოსილების დაკისრების მომენტიდან) 2016 წლის 01 ნოემბრის ჩათვლით სააგენტოში წარმოდგენილ იქნა 4356 მომართვა. წარმოდგენილი მომართვებიდან ყველაზე დიდი ნაწილი შეიცავდა გადაუდებელი აუცილებლობის</p>

რეკომენდაცია	განხორციელების ვადები	პასუხისმგებელი უწყება	ინდიკატორი	შესრულების მდგომარეობა
				<p>საფუძვლით შესყიდვის განხორციელების მოთხოვნას - საერთო ჯამში 2722. გასული წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებლებთან შედარებით, მოცემული საფუძვლით შესყიდვის განხორციელება შემცირებულია 61%-ით.</p> <p>ამასთან, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით გამარტივებული შესყიდვის განსახორციელებლად, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თანხმობის საფუძველზე საანგარიშო პერიოდში საქართველოს მთავრობის მიერ გამოცემულ იქნა 263 განკარგულება გამარტივებული შესყიდვის განხორციელების თაობაზე, რაც 29%-ით ნაკლებია გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით (გასულ წელს იმავე პერიოდში აღნიშნულ საკითხზე გამოიცა საქართველოს მთავრობის 364 განკარგულება).</p> <p>გარდა ამისა, მიმდინარე წელს ექსკლუზიური უფლებამოსილების საფუძვლით შესყიდვის განხორციელებაზე უარი ეთქვა 24%-ს, ხოლო ხარისხის გაუარესების თავიდან აცილების საფუძვლით გამარტივებული შესყიდვის განხორციელებაზე არ დაკმაყოფილდა შემსყიდველი ორგანიზაციების საერთო მომართვების 47%.</p> <p>სააგენტოსთან შესათანხმებელი გამარტივებული შესყიდვების ჯამური პროცენტული ოდენობა წინა წელთან შედარებით შემცირებულია დაახლოებით 35%-ით.</p> <p>2016 წლის 15 ნოემბრიდან ამოქმედდა „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებაში შეტანილი ცვლილებები, რომელიც ავალდებულებს შემსყიდველ ორგანიზაციას სააგენტოსთან ასევე შეათანხმოს გამარტივებული შესყიდვების შესახებ გადაწყვეტილებაში შესაბამისი ცვლილების შეტანა, რაც გულისხმობს ხელშეკრულების ვადის, ღირებულების, შესყიდვის ობიექტის კატეგორის, მოცულობის/რაოდენობის შეთანხმების აუცილებლობას.</p> <p>2015 წლის 01 ნოემბრიდან 2016 წლის 01 ნოემბრამდე შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ სააგენტოში მომართვისა და სააგენტოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების სტატისტიკური მაჩვენებლებია:</p>

რეკომენდაცია	განხორციელების ვადები	პასუხისმგებელი უწყება	ინდიკატორი	შესრულების მდგომარეობა
				<p>გადაუდებელი აუცილებლობის საფუძველით:</p> <ul style="list-style-type: none"> • 2014-2015 წლებში გაფორმებული ხელშეკრულებების რაოდენობა - 7 690; • გადაუდებელი აუცილებლობის საფუძველით 2015-2016 წლებში გაფორმებული ხელშეკრულებების რაოდენობა - 3 018; • კლების პროცენტული მაჩვენებელი - 61% <p>ღონისძიების შეზღუდულ ვადაში შეუფერხებლად ჩატარების საფუძველით:</p> <ul style="list-style-type: none"> • 2014-2015 წლებში გამარტივებული შესყიდვის შესახებ გამოცემული განკარგულება - 364; • 2015-2016 წლებში გამარტივებული შესყიდვის შესახებ გამოცემული განკარგულება - 263; • კლების პროცენტული მაჩვენებელი - 29%